



2014 წლის 10 სექტემბერი

## სოლიდარობის ფონდის საქმიანობის I პერიოდული ანგარიში

პირველ რიგში გვსურს, მადლობა გადაგიხადოთ **25,000-ზე მეტ საჯარო მოხელესა და ასობით მოქალაქეს**, რომელთა დახმარებითაც უკვე ამოქმედდა საქართველოს სოლიდარობის ფონდი.

აქვე გვაქვს პატივი წარმოგიდგინოთ სოლიდარობის ფონდის საქმიანობის პირველი პერიოდული ანგარიში, რომელსაც ფონდის აღმასრულებელი გუნდი ყოველთვიურად მოგაწვდით.

- **5 სექტემბერს სოლიდარობის ფონდის კომისიის პირველ სხდომაზე სოლიდური სიმსივნით დაავადებული 18 წლამდე ასაკის 11 ბავშვის მკურნალობა დაფინანსდა.** საერთო ჯამში მუდმივმოქმედი კომისიის წევრებმა პირველ სხდომაზე სოლიდარობის ფონდის დაფინანსების მიღების მსურველთა 15 განაცხადი განიხილეს.
- **15 განცხადებიდან 11 შემოსული იყო 18 წლამდე ასაკის სოლიდური სიმსივნის მქონე ბავშვების დასაფინანსებლად და 11-ვე განცხადება დაკმაყოფილდა და მათ შორის, დამტკიცდა 3 ბავშვის საზღვარგარეთ მკურნალობის თანადაფინანსება საფრანგეთისა და თურქეთის კლინიკებში.**
- **დაფინანსებისათვის გამოყოფილმა ჯამურმა თანხამ 96 000 ლარი შეადგინა.** აქვე ცხრილის სახით წარმოგიდგენთ დაფინანსებული ბავშვების ასაკის, დიაგნოზისა და დამტკიცებული თანხების დეტალურ ანგარიშს.

N	პაციენტის მონაცემები		დიაგნოზი ფორმა #100-ის მიხედვით	მკურნალობის საერთო ღირებულება	ფონდიდან მოთხოვნილი და დაფინანსებული თანხა
	ასაკი	სოც. სტატუსი (შშმ ან სხვა სტატუსი)			
<b>საზღვარგარეთ მკურნალობა</b>					
1	3 წლის		თავის ტვინის სიმსივნის პოსტ-ოპერაციული სხივური თერაპია	18000 ევრო	14000 ევრო (თურქეთი)
2	4 წლის		თავის ტვინის სიმსივნე (ეპენდიმომა, გრეიდი II), პოსტ-ოპერაციული სხივური თერაპია	17930 ევრო	9930 ევრო (თურქეთი)
3	11 წლის		მარჯვენა ბარძაყის ძვლის ლოკალიზაციის იუნგის სარკომა. ქირურგიული ოპერაცია - რეზიდუალური სიმსივნური მასის რეზექცია შემდგომი პროთეზირებით.	20000 ევრო	2000 ევრო საფრანგეთში და 2,200 ლარი საქართველოში მკურნალობისათვის
<b>მკურნალობა საქართველოში (ქიმიოთერაპიის თანადაფინანსება)</b>					
4	4 წლის	შშმ ბავშვი, სოციალურად დაუცველი	შუასაყარის განგლიონეორობლასტომა	1372,50 ლარი	1370,50 ლარი
5	6 წლის		ალვეოლარული რაბდომიოსარკომა	3039,00 ლარი	3039,00 ლარი
6	7 წლის	შშმ ბავშვი	ემბრიონალური რაბდომიოსარკომა მარხვენა ყბაყურა ჯირკვლის პროექციაზე	1372,50 ლარი	1372,50 ლარი
7	11 წლის	შშმ ბავშვი	ნათხემის ჭიის და მე-4 პარკუჭის მიდამოს მედულობლასტომა	1372,50 ლარი	1372,50 ლარი
8	11 წლის		გულმკერდის კედლის ხონდროსარკომა გართულებული ქვედა პარაპარეზით II (მეორე) კლ/ჯგ	1372,50 ლარი	1372,50 ლარი
9	14 წლის	შშმ ბავშვი	იუნგის სარკომა	1372,50 ლარი	1372,50 ლარი
10	15 წლის	შშმ ბავშვი	მარჯვენა ბარძაყის ძვლის ოსტეოგენური სარკომა მეტასტაზებით ფილტვებში. IV st II კლ/ჯგ; პროგრესირება თავის ტვინის Mts დაზიანება	1372,50 ლარი	1372,50 ლარი
11	17 წლის	შშმ ბავშვი, სოციალურად დაუცველი	მარჯვენა ბარძაყის ძვლის ოსტეოგენური სარკომა, პროგრესირება, ფილტვების mts დაზიანება. IV სტადია	1372,50 ლარი	1370,50 ლარი

- საერთო ჯამში შემოსული 15 განცხადებიდან არ დაკმაყოფილდა 4 განცხადება, რამდენადაც არ შეესაბამებოდა ფონდის მიერ პირველ ეტაპზე განცხადებულ დიაგნოსტიკურ და ასაკობრივ კრიტერიუმებს. მოგეხსენებათ, რომ პირველ ეტაპზე ფონდმა განაცხადა სოლიდური სიმსივნეებით დაავადებული ბავშვების დახმარება. ამასთანავე 4-დან 2 შემთხვევაში პაციენტები ჯანდაცვის მოქმედი სახელმწიფო პროგრამების მიზნობრივ ჯგუფს განეკუთვნებოდნენ, შესაბამისად ვერ განიხილებოდა ფონდის მიერ. კომისიამ ასევე იმსჯელა განცხადების გადამისამართებაზე თბილისის მერიის სოციალური მომსახურების სამსახურში, რათა მათაც მიეცეთ დამატებითი სახსრების მოძიების საშუალება.
- სოლიდარობის ფონდის მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაში არიან სახელმწიფო სტრუქტურების (მთავრობის ადმინისტრაციის, ჯანდაცვის, ფინანსთა, კულტურის სამინისტროებისა და ქალაქ თბილისის მერიის), კერძო სექტორის (ბიზნეს და საბანკო სექტორის), საერთაშორისო (გაეროს, მსოფლიო ბანკია და აშშ საელჩოს წარმომადგენლები) და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.
- სოლიდარობის ფონდის მუდმივმოქმედი კომისიის მორიგი შეხვედრა 15 სექტემბერს გაიმართება.
- 31 აგვისტოს მდგომარეობით სოლიდარობის ფონდში 150 000 ლარამდე უკვე არის მობილიზებული.
- 25 000 საჯარო მოხელეს მიერ დადასტურებული ყოველთვიური დონაცია საკმარისია, რომ 18 წლამდე სოლიდური სიმსივნის მქონე ბავშვთა თანადაფინანსების პრობლემა საქართველოში სრულად ჩაითვალოს გადაჭრილად.
- ამასთანავე გიზიარებთ სოლიდარობის ფონდის facebook-ის გვერდის ბმულს („სოლიდარობა“) [f /solidarobisfondi](https://www.facebook.com/solidarobisfondi), სადაც ყოველდღიურად შეძლებთ გაეცნოთ ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებულ სიახლეებს.
- აქვე მოგახსენებთ, რომ სოლიდარობის ფონდთან დაკავშირებული კითხვებისათვის შეგიძლიათ მიმართოთ ჯანდაცვის სამინისტროს ცხელ ხაზს - 1505.



საქართველოს სოლიდარობის ფონდი  
SOLIDARITY FUND OF GEORGIA

სიყვითე გადამდებია

- 10 ოქტომბერს ასევე ამოქმედდება სოლიდარობის ფონდის ოფიციალური ვებ-გვერდი, რომლის თაობაზეც დამატებით შეგატყობინებთ მომდევნო ყოველთვიურ ანგარიშში.

კიდევ ერთხელ თითოეული ბავშვისა და ოჯახის სახელით, რომლის დახმარებაც ფონდმა თქვენი ხელშეწყობით შესძლო უღრმეს მადლობას გიხდით თანადგომისათვის.

**თითოეული თქვენგანის მიერ გაღებული მინიმალური თანხაც კი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. სწორედ ერთობლივი ძალისხმევით გახდა შესაძლებელი 11 ბავშვის მკურნალობის ფონდის ამოქმედების პირველივე ეტაპზე.**

ვიმედოვნებთ, რომ საჯარო და კერძო სექტორის ნაცოფიერი თანამშრომლობითა და საზოგადოების აქტიური მონაწილეობით, შევძლებთ არამხოლოდ 18 წლამდე სოლიდური სიმსივნის მქონე ბავშვთა, არამედ მიმდინარე წლის ბოლომდე 22-წლამდე ასაკის ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების ძირითადი ფინანსური ბარიერების მოხსნას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი საკმარისი იქნება თუკი საქართველოს მასშტაბით მომუშავე საჯარო მოხელეები ყოველთვიურად თუნდაც 1 (ერთ) ლარს გაიღებენ.

პატივისცემითა და საუკეთესო სურვილებით,

საქართველოს სოლიდარობის ფონდის ადმინისტრაცია